ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №01-07/142

„13" დეკემბერი 2021 წ.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვის პირობების ცვლილების შესახებ

სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში 2021 წლის 7 დეკემბერს წარმოდგენილ იქნა რუსლან კაკაბაძის №1323315 განცხადება, სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 31 ივლისის №01-07/113 ბრძანებით განსაზღვრული სანებართვო პირობების ცვლილების შესახებ.

აღნიშნული საკითხი განხილული იქნა სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანოს - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სხდომაზე და მიღებული იქნა გადაწყვეტილება - შეთანხმდეს, ქალაქ ბათუმში, მემედ აბაშიძის ქუჩა №40-ში (ს/კ 05.22.12.012.) მდებარე კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლზე ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ცვლილება (სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანოს - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2021 წლის 10 დეკემბრის სხდომის ოქმი №03-04/10).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 107-ე 112-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე, 23-ე, 25-ე, 47-ე, 48-ე, 49-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვის გაცემის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 21 დეკემბრის №386 დადგენილებისა და სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის

სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის და მე-5 მუხლის „გ" პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შეტანილი იქნას ცვლილება სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 31 ივლისის №01-07/113 ბრძანებით განსაზღვრულ საპროექტო დოკუმენტაციაში რუსლან კაკაბაძის მიერ 2021 წლის 7 დეკემბრის №1323315 განცხადებით წარმოდგენილი ცვლილების ამსახველი დოკუმენტაციის მიხედვით.

2. ბრძანების შესაბამისი პირებისადმი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ადმინისტრაციულმა განყოფილებამ.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (ქ. ბათუმი, ლადო გუდიაშვილის ქ. №4) ერთი თვის ვადაში და ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სააგენტოს დირექტორის მ/შ ზაურ ახვლედიანი